

## ვინფრიდ ბოედერი

გრამატიკული პირი მეგრულ ანდაზაში<sup>1</sup>

თითოეული ქართველოლოგი გურამ კარტოზიას სახელთან დაკავშირებით გაიხსენებს დიდი დამსახურების მქონე რუსთველოლოგს, ლაზურის და მეგრულის ბრწყინვალე მცოდნეს და ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის შესანიშნავ წარმომადგენელს. ამას გარდა, პირადად მე მაქვს საუკეთესო მოგონებები ოლდენბურგის კონფერენციაში მის მონაწილეობასა და მოხსენებებზე, რომლებიც მან მაშინ ჩემს უნივერსიტეტში წაიკითხა, მაგრამ წინამდებარე საიუბილეო კრებულთან დაკავშირებით მე მადლიერებით გავიხსენე მისი გაკვეთილები იმ სფეროში, რომელშიც გურამ კარტოზია, სავარაუდოდ, ნაკლებად ცნობილია: 1987 და 1990 წლებში მან მე მოთმინებით ამიხსნა იოსებ ყიფშიძის მიერ გამოცემული მეგრული ანდაზები. ახლა, როცა ისევ გადავხედე ჩემს ჩანაწერებს, თვალში მომხვდა ბევრი ანდაზა, რომლებშიც ზოგადი, კლასის აღმნიშვნელი მესამე პირის ნაცვლად პირველი ან მეორე პირია გამოყენებული. ის, რომ იოსებ ყიფშიძის 127 ანდაზიდან 28 მეორე პირს შეიცავს და 10 – პირველ პირს, გერმანელისთვის თვალშისაცემია, მაგრამ ქართველისთვის, სავარაუდოდ, – არა, ვინაიდან ქართულად და მეგრულად მოლაპარაკენი ამ პუნქტში ერთი და იმავე კულტურის წრეს ეკუთვნიან. ეს არის კითხვა, რომელიც მე ფოლკლორისტიებს და ეთნოლოგებს უნდა დაეუტოვო საპასუხოდ, მაგრამ არის ზოგიერთი პრობლემა, რომლის შესახებ ლინგვისტსაც აქვს სათქმელი.

ქვემოთ მომდევნო დაკვირვებებს არ აქვს პრეტენზია, რომ თეორიულად და ემპირიულად სათანადოდ არის დამუშავებული; ისინი არის წინასწარი და არასისტემატური შენიშვნები და, რა თქმა უნდა, საჭიროებს დაზუსტებას და კორექტურას. ისინი მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რა საინტერესო კითხვები აღმიძრა გურამ კარტოზიას გაკვეთილებმა.

1. პირველ რიგში უნდა დადგინდეს, რომ პირველი, მეორე და მესამე პირები ანდაზაში ეკვივალენტურია. თავისი ბუნებით ანდაზები გამოხატავენ ზოგად პროპოზიციებს, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან საკომუნიკაციო სიტუაციისგან (ე.ი. „მთქმელის“, რომელიც ადრესატს მიმართავს, „ადრესატის“, რომელსაც მთქმელი მიმართავს, და „საუბრის საგნის“ რელაციონური როლების გარეშე)<sup>2</sup> და რომლებშიც

1 ნინო დობორჯგინიძის დიდი მადლობელი ვარ, რომელმაც ტექსტი არა მხოლოდ თარგმნა, არამედ მისი ფორმულირებაც გააუმჯობესა.

2 Charles J. Fillmore 1997 (1975): *Lectures on Deixis*. Stanford: CSLI Publications – როლის რელაციური კონცეფცია ეტყობა აკლია ტრადიციულ გრამატიკაში: πρῶτον [πρὸς ἄνθρωπον] μὲν ἄφ' οὗ ἂν λέγῃς, δεῦτερον δὲ πρὸς ἄνθρωπον, τριττον δὲ πρὸς οὗ ἂν λέγῃς 'პირველი [პირია], რომლისაგანც [მოდის] სიტყვა, მეორე [პირი] – ვისაც სიტყვა მიემართება, მესამე კი – ვის შესახებაც [არის] სიტყვა (ლია ქაროსანიძე 1998: დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნება“ და ძველი ქართული გრამატიკული აზროვნება. თბილისი: ლოგოსი, გვ. 107).

გრამატიკული პირების დეიქტური ოპოზიცია რეფერენციალურ დონეზე ნეიტრალიზებულია. ანდაზის:

მუშ დუს კოჩი ლოლანსგნი, ინა ტერს ვა ალოლენია (ყ. 102)<sup>3</sup>

„თავის თავს კაცი რომ უზამს, იმას მტერი ვერ უზამსო“ (გ. კარტოზიას თარგმანი)

აზრი *salva veritate* შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად:

შენს თავს რომ უზამ, იმას მტერი ვერ გიზამს

და:

ჩემს თავს რომ ვუზამ, იმას მტერი ვერ მიზამსო

და:

ჩვენს თავს რომ ვუზამთ, იმას მტერი ვერ გვიზამსო

ევროპული ენების გრამატიკები ასეთ შემთხვევებში ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ, მაგალითად, მეორე პირი, მესამე პირისგან განსხვავებით, აპელირებს ადრესატის პერსონალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე<sup>4</sup>. მსგავსად, მრავლობითი რიცხვის პირველი პირი ხაზს უსვამს ადრესატის, შესაბამისად, ყველა ადამიანის მიმართ „სოლიდარობას“ მაშინაც, როცა პირთა ოპოზიცია რეფერენციალურ დონეზე ნეიტრალიზებულია, პრაგმატულ დონეზე არის სხვაობა პირველ, მეორე და მესამე პირებს შორის.

გრამატიკოსების დაკვირვება ეხება ზოგად გამოთქმებს მთლიანობაში და ამიტომაც ანდაზებსაც და აქ განხილული მეგრული ანდაზები მართლაც უნდა აჩვენებდეს, რომ პირველი და მეორე პირის ხმარება დაკავშირებულია გარკვეულ პრაგმატულ კონტექსტებთან. ქვემოთ ვილაპარაკებ ისეთ კონტექსტებზე, რომლებიც მესამე პირში შეიძლება აკლდეს.

2. განვიხილოთ მხოლოდითი რიცხვის პირველი პირი. ჯერ უნდა გარჩეულ იქნეს პირველი პირის ზოგიერთი ასპექტი. პროტოტიპური საუბრის შემთხვევაში პირი მ. ფონ რონკადორის<sup>5</sup> მიხედვით განმარტებულია სამი მიმართების მიხედვით. „მე“ აღნიშნავს

1) იმას, რომელიც ნიშან მე-ს გამოთქვამს,

2) ცნობიერების ცენტრს, რომელიც თავის შინაგან მდგომარეობებს და აღქმებს გამოხატავს და

3) მოლაპარაკის როლს მსმენელთან მიმართებაში<sup>6</sup> (გრამატიკული პირის კლასიკური კონცეპტის შესაბამისად).

3 ყ. – ი. ყიფშიძის ქრესტომათია, რომელიც ახლავს მისივე ავტორობით რუსულ ენაზე გამოცემულ მეგრული ენის გრამატიკას.

4 Randolph Quirk – Sidney Greenbaum – Geoffrey Leech – Jan Svartvik 1985: A Comprehensive Grammar of the English Language. London – New York: Longman, გვ. 354.

5 Manfred von Roncador 1988: Zwischen direkter und indirekter Rede. Nicht-wörtliche direkte Rede, erlebte Rede, logophorische Konstruktionen und Verwandtes (= Linguistische Arbeiten 192). Tübingen: Niemeyer, გვ. 66-83.

6 Fillmore, Charles J. 1997 (1975): Lectures on Deixis (1997). Stanford: CSLI Publications.

ანდაზაში პირველი მახასიათებელი აკლია: „მე“ აქ მიემართება არა იმას, ვინც ამბობს „მე“-ს, ანუ რეალურ მოლაპარაკეს. ასევე კარგავს „მე“ თავისი სპეციფიკური როლის მნიშვნელობას, ვინაიდან პირველი, მეორე და მესამე პირების დეიქსისის რეფერენციალური განსხვავება, როგორც ვთქვით, ნეიტრალიზებულია, მაგრამ, ამასთანავე, „მე“ არის ის, ვინც თავის შინაგან მდგომარეობებს და აღქმებს გამოხატავს. მაგალითად:

პიჯით ჯუდაშა გურით ჯუდა მისხუნუ (ყ. 20)  
„პირით კოცნას გულით კოცნა მირჩევნია“ (გ. კარტოზია)

აქ პირველი პირი აღნიშნავს არა რეალურ მოლაპარაკეს, არამედ იგი ახასიათებს ანდაზას, როგორც შინაგანი გრძნობის ან აზრის გამოხატველს. უმეტეს შემთხვევებში პირველი პირი საუბრის სხვათა სიტყვის გადმოცემისას არის გამოყენებული:

საქონელქ ინარტუ: მისით მა ვოსქუქინი, თიში ქოპუასია (ყ. 69)  
„საქონელმა ინატრა: ვისაც მე შევფერი, ნეტავ, იმისი ვიყო“ (კ. დანელია)<sup>7</sup>

მაშინ როცა იმპლიციტური მოლაპარაკე წინა მაგალითში იყო ადამიანი ზოგადად, რომელიც, როგორც ტიპიურად, ერთადერთი „მე“-ს ამბობს და ამიტომაც არ უნდა დასახელდეს, აქ მთქმელი სპეციფიკურად არის მოხსენიებული, როგორც საქონელი. მხოლოდ ამგვარად არის შესაძლებელი ანდაზის სწორად გაგება და მეტაფორულად მისი გადატანა ადამიანზე და მის დამოკიდებულებაზე სხვა ადამიანებთან.

მეტყველება არის პრივილეგირებული მისასვლელი ადამიანის შინაგან სამყაროსთან, მაგრამ სიტყვა და ფიქრი შეიძლება სხვადასხვა იყოს. ამიტომაც გამოიყენება ეს ფორმა, რათა კოდირებულ იქნეს სიტყვისა და ფიქრის განსხვავებულობა. მომდევნო მაგალითში აშკარაა სხვაობა თქმასა და ფიქრს შორის.

სინჯაქ თქუუა: „ჩქიმი ბერგი ქომუჩასგნი, ძალამი ხაჩქუა მიჩქუნია“ (ყ. 82)

„სიძემ თქვაო: ჩემი თოხი რომ მომცეს („მომცა“; ახლა რომ მქონდეს), ძალიან თოხნა ვიციო“ (გ. კარტოზია)

იმით, რომ „მე“ ნიშნის მიმართება და როლის მიმართება ზოგად წინადადებაში და სპეციალურად ანდაზაში ძალადაკარგულია, „მე“-ს მნიშვნელობა ფოკუსირებულია შინაგანი მდგომარეობისა და აღქმის გამოხატვაზე. ამიტომაც დომინირებს ანდაზაში „მე“-ს ხმარებისას ენის ის ფუნქცია, რომელსაც კარლ ბულერი „გამომხატველობითს“ უწოდებს<sup>8</sup>.

7 კ. დანელია – კ. დანელიასა და აპ. ცანავას მიერ გამოცემული მეგრული ანდაზები ქართული თარგმანით. იხ. ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. II, თბილისი, 1991.

8 Karl Bühler 1934: Sprachtheorie. Die Darstellungsfunktion der Sprache. Jena: Gustav Fischer.

3. ასევე მეორე პირიც ზოგად წინადადებაში და შესაბამისად, ანდაზაში განსაზღვრულია არა როგორც „შენ“ ნიშნის გამოხატვით, მაგრამ ასევე არც ადრესატის როლით, ვინაიდან „შენ“ აქ არ არის საუბრის სიტუაციასთან დაკავშირებული. ამას აჩვენებს მარტივი ტესტი: როცა მე რამდენიმე ადამიანს ველაპარაკები, მაინც შემიძლია ვთქვა:

შხვაში ორქოს სკანი ლინჯი უჯგუ (ყ. 26)  
სხვის ოქროს შენი სპილენძი სჯობს (გ. კარტოზია)

მეორე პირი, პირველი პირის ანალოგიურად, უფრო მეტად აღნიშნავს ცნობიერების ცენტრს, რომელსაც ესმის გამოთქმული მდგომარეობები და აღქმები, რაც იგივეა, რომ შეუძლია დააკავშიროს საკუთარ მდგომარეობებთან და აღქმებთან. ეს შეესატყვისება გრამატიკოსების ზემოთ ციტირებულ დაკვირვებას, რომ „შენ“-ის ზოგადი გაგებით ხმარება აპელირებს ადრესატის გამოცდილებების ცნობიერებაზე. ბევრ ანდაზაში „შენ“ ნაცვალსახელის ხმარება ფორმალურად დაკავშირებულია მსმენელების მიმართ მოწოდებითი ფუნქციის გამომხატველ ფორმებთან. ტიპიური პირობითი დამოკიდებული წინადადებების გვერდით გამოიყენება ბრძანებითი წინადადებები:

თუნთქ მეგერიასგ და, – ბაბა დუუძახია (ყ. 9)  
„დათვი თუ მოგერია, ბაბა დაუძახეო“ (გ. კარტოზია)  
მოწიკვილი კეტის ხეს ქემეთხუნქინი, მორწიკუნს (ყ. 63)  
„დასვრილ ჯოხს ხელი რომ მოჰკიდო, დაგსვრის“ (გ. კარტოზია)

ჩანს, რომ გაგებად ცნობიერებაზე ფოკუსირებამ მოახდინა ზეგავლენა, რომ მოწოდებითი ფუნქცია დომინირებს.

ამას გარდა, მრჩება შთაბეჭდილება, რომ მეორე პირის შემცველი ანდაზები ხშირად შეიცავს რჩევას. შემდეგი ანდაზა არის რჩევა ჭემ-მარიტების გამოსათქმელად:

ხვარას ხვარა ვა დუუძახი და, აშო ქგდოგიძახგ (ყ. 29)  
„ქაჩალს ქაჩალი თუ არ დაუძახე, აქეთ (შენ თვითონ) დაგიძახებს“ (გ. კარტოზია)

მაგრამ ანდაზების ფუნქციას, რამდენადაც იგი ფორმალურად არ არის დადგენილი, ჩვენ მივყავართ სხვა, არალინგვისტურ სფეროში, რომელიც ანდაზების შესახებ აქამდელ კვლევაში საფუძვლიანად არის შესწავლილი.

*გერმანულიდან თარგმნა ნინო დობორჯგინიძემ*

## Abstracts

**Winfried Boeder**

### GRAMMATICAL PERSON IN MEGRELIAN PROVERBS

One striking feature of Megrelian (and Georgian) proverbs is their particularly frequent use of generic first and second person pronominal or verbal forms: "I prefer kissing with the heart to kissing with the mouth"; "If you take hold of a soiled stick, it will soil you". Following a general theory of reported speech, thought representation and logophoricity developed by M. von Roncador (1988), the first person in proverbs is interpreted as denoting a centre of consciousness expressing its internal states and perceptions, and the second person as an analogous centre of consciousness understanding these expressions by relating them to its own experience. These uses differ from the prototypical use of first and second person forms, where they denote roles in a communicative situation, and where the first person is also defined by token-reflexivity - features that are absent from their use in the proverb.

**Igor Kekelia**

### FROM THE HISTORICAL TOPONYMY OF APKHAZETI

The paper offers analysis of the history and etymology of several Abkhazian toponyms (*Arukha, Likhni, Togoni, Phichori, Phutskuri and Phshauri*) attested in Georgian written sources. It attempts to associate Abkhazian toponyms with an area to the south of historical Tskhumi, up to the Enguri River. The surviving written sources will render any effort of non-academic approach to the issue void.

**Medea Saghiani**

### INTERRELATION OF SPATIAL AND EXISTENTIAL/POSSESSION VERBS IN SVAN

Systemic description of the body of Svan empirical evidence and its synchronic study have roused further interest in the linguistic and cognitive aspects of spatial relations in the language. The study of spatial verbs has led to establishing a system of concepts and regularities of space interpretation, through which humans perceive the outside world. It is established that languages differ in rendering spatial relations. Differences are observed even in sub-dialects, which appears extremely noteworthy with regard to the verb system of the Kartvelian languages. Observations have shown that dialects and